პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 21

2014 წ. "29" 09

ქ.თბილისი

სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსის" ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსს" (საიდენტიფიკაციო კოდი: 216350829) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (პროფესიული კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით.
2. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსს" მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №5 სხდომის ოქმის მე-7 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ლიანა ზამბახიძე

დანართი

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	სავალი ნაწილის ტექნიკოსი	III	სავალი ნაწილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
2	ძრავის შემკეთებელი	III	ძრავის შემკეთებელი მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
3	ბუღალტერი	III	ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია /ბუღალტერ-მოანგარიშე/	45
4	ინფორმაციული ტექნოლოგი	III	ინფორმაციული ტექნოლოგის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45
5	ელექტრიკოსი	III	ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
6	ელექტროამძრავის და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების ოსტატი	III	ელექტროამძრავის და ელექტრომომმარა-გებელი დანადგარების ოსტატის მესამე საფე-ხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
7	ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების დიაგნოსტიკოს – შემკეთებელი	III	ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების დიაგნოსტიკოს –შემკე-თებელის მესამე საფეხუ-	60

			რის პროფესიული კვალიფიკაცია	
8	ზეინკალ სანტექნიკოსი	III	ზეინკალ-სანტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45
9	თაბაშირმუყაოს სპეციალისტი	III	თაბაშირმუყაოს სპეცია-ლისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45
10	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	III	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
11	მასაჟისტი	III	მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
12	ოფისის მენეჯერი/მდივან-რეფერენტი/	III	ოფისის მენეჯერის /მდივან-რეფერენტის/ მესამე საფეხურის პრო-ფესიული კვალიფიკაცია	60
13	მღებავი	III	მღებავის მესამე საფეხ-ურის პროფესიული კვა-ლიფიკაცია	45
14	ნივთიერებებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტი	III	ნივთიერებებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტის მესამე საფეხურის პრო-ფესიული კვალიფიკაცია	45
15	შემდუღებელი	III	შემდუღებლის ელექტრორკალური, მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45

მილევად რეჟიმში არსებული პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	მღებავი	III	მღებავის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	30
2	ზეინკალ–სანტექნიკოსი	III	ზეინკალ–სანტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
3	შემდუღებელი	III	შემდუღებელის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
4	ელექტროამძრავისა და ელოქტრომომმარაგებელი დანადგარების სპეციალისტი	III	ელექტროამძრავისა და ელოქტრომომმარაგებელი დანადგარების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	70
5	ნივთიერებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტი	III	ნივთიერებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
6	ავტომობილის ძრავის შემკეთებელი	III	ძრავის შემკეთებელის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	70